

დავით ასლანიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ეროვნული ბანკის მიერ რეალურად განხორციელებული მონეტარული პოლიტიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, თორემ იმაში კი გეთანხმებით, ბატონო პეშო, რომ ქალაქდზე გაცხადებული მონეტარული პოლიტიკა, უფრო სწორად საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები აბსოლუტურად შეესაბამება არსებულ ეკონომიკურ ვითარებას.

და იცით, რატომ ვერ ახორციელებს ეროვნული ბანკი თუნდაც სავალუტო ფონდის მიერ ქალაქდზე დაწერილ რეკომენდაციებს? იმიტომ, რომ ეროვნული ბანკი მძევალია მის მიერვე შექმნილი და ხელშეწყობილი საბანკო ოლიგოპოლიის პირობებში.

ლარიზაციის კოეფიციენტი ანაბრების პორტფელში 30% არ აღემატება (ფიზიკური პირებისთვის – 20%). იცით რატომ? იმიტომ რომ ნდობაა დაკარგული ლარის მესვეურის, ე.ი. ეროვნული ბანკის მიერ რეალურად გატარებული მონეტარული პოლიტიკის მიმართ.

სესხების გაღარება – ერთადერთი დავალება, რომელიც ეროვნულ ბანკს მთავრობისგან ჰქონდა დავალებული, ისიც კი ვერ ჩაატარა ნორმალურად და მიიღო აბსოლუტურად საპირისპირო შედეგი: კლიენტების 80%, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ სავალუტო კრიზისებით 2015–2016 წლებში, მაინც არ მიიღეს სესხების გაღარების შემოთავაზება. ეს განაპირობა უპირველესად იმ გარემოებამ, რომ ეროვნულმა ბანკმა ბუნდოვანი და საბანკო ოლიგოპოლიისგან ნაკარნახევი მონეტარული პოლიტიკით ცრუ მოლოდინები გააჩინა საზოგადოებაში.

გაღარების პროგრამის ჩავარდნაზე სრული პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება ეროვნულ ბანკს და იმედია, ხელისუფლებაშიც მოხდება ამის სიღრმისეულად გაცნობიერება.

თქვენ კი ბატონო პეკშო, გთხოვთ, შეწყვიტოთ წითელი კალმით ხუთიანების წერა, ამის ნაცვლად დაიკავოთ შავი მარკერი ხელში და დაფაზე დაწეროთ: “..საბანკო ოლიგოპოლიას, არა !..“

(იხილეთ ბმული)

ფრანსუა პეკშო - ეროვნული ბანკის მიერ გაცხადებული მონეტარული პოლიტიკა არსებულ ეკონომიკურ ვითარებას სრულიად შეესაბამება

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/423961-fransua-pehsho-erovnuli-bankis-mier-gackhadebuli-monetaruli-politika-arsebul-ekonomikur-vitharebas-sruliad-sheesabameba.html>

